

განმავითარებელი შეფასების ეფექტურად გამოყენება „სერვანტესის
სახელობის გიმნაზია აია-ჯესსში“

თათია ჭითანავა

ლია ვაშაკაშვილი

ანანო გოგინავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა : განათლების ადმინისტრირება

კვლევის ხელმძღვანელი: მოწვეული პროფესორი - ქეთევან თოდაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თათია ჭითანავა

ლია ვაშაკაშვილი

ანანო გოგინავა

21.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, განათლების ადმინისტრირების პროგრამის, პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, პრაქტიკული კვლევის მიზანი იყო ქ. თბილისის სერვანტესის სახელობის გიმნაზია „აია-ჯესში“ განმავითარებელი შეფასების ეფექტურად გამოყენება III-კლასში მათემატიკის მაგალითზე.

აღნიშნული პრობლემის გამოსაკვლევად გიმნაზია „აია-ჯესში“ დაწყებითი საფეხურის III-კლასებში, მათემატიკის მაგალითზე ჩავატარეთ პრაქტიკული კვლევა.

მოცემულ ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შერეული მეთოდი, თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ჩაღრმავებული ინტერვიუები საგნის მასწავლებლებთან, საგაკვეთილო პროცესებზე ვაწარმოეთ დაკვირვება, აგრეთვე, შევისწავლეთ მოსწავლეთა რვეულები, დღიურები და მათი ჩანაწერები, რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევის მეთოდს, გამოვიყენეთ კითხვარები, რომლებიც დაურიგდათ მოსწავლეებსა და მშობლებს.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი ინტერვენციები, განხორციელებულმა საფეხურებმა შესაძლებლობა მოგვცა, რომ შეგვემუშავებინა ის რეკომენდაციები, რომლებიც ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია გაზიარებულ იქნეს აღნიშნული სკოლის, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებისა და სხვა განათლების პოლიტიკით დაინტერესებული პირების მიერ, რაც დაეხმარებათ მათ, „განმავითარებელი შეფასების“ ეფექტურად გამოყენებაში.

საკვანძო სიტყვები: **განმავითარებელი შეფასება, პრაქტიკული კვლევა, ეფექტურობა, ჩართულობა.**

Abstract

The following paper represents an action research report, carried out on the basis of Ilia State University, faculty of Education Administration. The main purpose of the research is to study the effective use of formative assessment during the 3rd graders' math classes, at gymnasium "AIA-GESS".

In order to fully study the problem mentioned above, the following research has been carried out at gymnasium "AIA_GESS", on the example of the 3rd graders.

The following research is based on mixed research method. Qualitative method involves interviews with teachers, regular lesson observations and studying process of students' diaries, workbooks and personal notes. As for the quantitative method, students and parents have been asked to fill in the specially designed questionnaires.

Within the research a number of interventions have been planned and eventually carried out. On the basis of the following research special recommendations have been designed for the very primary school teachers, as well as to those, interested in the policy of education in general, that will definitely help them all to effectively use the type of „formative assessment“ during the teaching process.

The main thematic keywords: Formative assessment, action research, efficiency, involvement.

მადლობა

მადლობას ვუხდით, ქ. თბილისის სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯესს, სკოლის დირექტორს, სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და კვლევაში

მონაწილე თითოეულ ადამიანს. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი თემის ხელმძღვანელს, აქტიური თანამშრომლობისა და გაწეული რეკომენდაციებისათვის, „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ მოწვეულ პროფესორს-ქეთევან თოდაძეს.

სარჩევი

განაცხადი	1
აბსტრაქტი	2
Abstract	3